ლია კაიშაური. მთიულური ტექსტები .

ლექსი ბურდულებზე.

აქედამ თათრები შემოგვსევია, იქიდამ დვალნი. თურმე გარეკეს მთელი ახალგაზრობა აზატხანის ომში. აქედანაც მოვიდა ხმა: „მოდიანო“. გაიგეს ხალხმა. ხნიერი ხალხი შაშინდა; “ჩონი საქმე ცერად არისო“. კაცებმა უთხრეს ერთურთს; „ ავდგეთ, წავიდეთ, სანამდე შინ არ მოგვიხდებოდნენო“ და შეიყარნენ და დახვდნენ დარიალში; ბურდულები, კობაიძეები. გახდა ბრძოლა.

ერთი ხადელი კაცის გამოლექსილია;

დარიალში შაიბნენ, გაუთენებლივ დ ილითო,

ივანე ნადიბაიძე შელესილ იყო რკინითო.

გვერდს ახლდა ბურდული გარსევანი, გული და მკლავი რკინისო,

მისთიბდენ მტრისა ლაშქარსა, როგორც მთიბელი თივასო.

სიბერე ახლდა გარსევანს, გამზრდელსა შვიდი შვილისა,

მაგრამ ხომ იცით, ათისგან ასი არ მოიკვლებისო.

გატეხეს თემი სიმძლავრით, დღეც გაუთენეს ჭირისო,

მძიმე ყალანი დაადვეს, როგორც უღელი რკინისო.

ეხლა უთხრეს იმათ, ორი კაციღა დაარჩინეს. ეხლა ჩვენი დვალნები გადმოვლენ თავისი თორმეტი კაცითაო, ამათ უნდა დაუხვდეთ სოფელიო.

პირითა მოღიმარითო, ლომაი ხარი დაუკლათ,

ღვინოც ასმიოთ ჯიხვითო, დაწვება, ქალი მოჰგოროთ,

ნაზარდი ლერწამ ტანზედო, დაწვება,

ვიდრე თავად სურს იმათთან წოლა- ძილიო.

ჰოდა, ეხლა დაბრუნდენ დაღონებული: „უთხრეს ჩვენი საქმე ცერად არისო“. შამაუთვალეს:

ოსეთს იყრება ლაშქარი, სალმი უძღვება წინაო,

„გადვიდეთ მთიულეთშია, ნაღვარევს დავდგათ ბინაო,

ვარჩიოთ ქალი და რძალი „ სალუდს მიუძღვათ წინაო“

ეგ რო გაიგეს მთიულეთს წელზე შაიბეს რკინაო.

ეს გარსევანი ხო იქ იბრძოდა დარიალში. ჰოდა გარსევანი იქ მოკლეს. აქ იმისი ექვსი შვილი აზათხანის ომში იყვნენ წასულები. ეს დვალნი ნაღვარევში არიან და მლეთაში უნდა მოვდნენ.

ამ დროს მოვიდნენ ომიდან შვილები გარსევნისო,
ექვს-ექვსი ვაჟი ერთადა, ექვსივე მსგავსი გმირისო.
ექვს ძმას დაუხდა სახში და, დაღონებულის პირითო,
თუმც ლამაზია ეგეთი, ვითა მზის სხივი დილისო,
გლოვობდა მამის დაღუპვას, დვალნის დაწვენას ქალისო,
ამ დროს მოვიდნენ ბიჭები გადანაყარი ჭირისო.

ქალმა დაუთვალა:

ძმებსა შასჩივლა თავის დამ დაღონებულის პირითო.
ეს რომ გაიგეს ბიჭებმა, დადგნენ პირქუშნი პირითო,
„ სანამდის უნდა ვატაროთ ესე სირცხვილი კისრითო“.

ეხლა ფიქრობენ ეს ძმები და

ძმებმა შესჩივლეს ერთმანეთს პირობა შაკრეს ფიცისო,
დვალნი რო მოვა, გავაძღოთ ის სამუდამო ძილითო.
ბიჭებმა გარსევანისამ ვადა გასინჯეს ხმალისაო,
თითოს ორ-ორო შაგვხვდება, ვაგემოთ გემო მკლავისო.

ეგრე გადაწყვიტეს ამ ბიჭებმა და მოიხმეს ვაჟკაცები, რომლითაც იმედი ქონდათ. ჯერ გათხარეს დიდი ორმო. და სადაც ის ძაღლები იყვენ. შამაუთვალეს:

დაგიხვდენ ბურდულთ სოფელი
პირითა მომღიმარითო.

რო მოვლენ; ლომაი ხარიც დაუკლეს, ღვინოც ასმიეს ჯიხვითაო. ხმლებიც მზათა აქვთ, კარების უკან დაკიდული.

დიდხან არ დააგვიანა დვალმა მოთხოვნა ქალისო,
ეხლა მომგვარეთ მნათობი, დროა წოლის და ძილისო.

უცებ შეცვივდნენ ბიჭები

ხმალამოწვდილნი შაცვივდენ, როგორც ლეკვები ლომისო,
თორმეტსავ დაიჭრეს თავები, ხმა არ გასულა ომისო.
ერთად ჩაყარეს ორმოში, როგორც გოჭები ღორისო.

(ბურდულები დღესაც არ ჰყოლობენ ღორს)

ესეც იცოდნენ ბიჭებმა
დრო დადგებოდა ბრძოლისაო.

მოიხმეს მთელი თემი, შეიყარნენ. ერთი გაგაძე ყოფილა ოსეთში გაზდილი, რომელმაც იცოდა იქაური ლაპარაკი. უთხრეს: „ჩვენ შიგნით მოვემზადებითო“.

საჟლეტად სალმის ჯარისო, სეთურთას გავჭრით კანაოს,

ზედ შავახამებთ ტოტებით, ხევის ტოტებით მწვანისო.

„შენაო მიდი სალმისთანაო; უთხარ,რო, გაისწყვიტეს ჩვენებიო. ჩვენ კი სეთურთას დავხვდებითო, „გაქცეული ცხენიანი კაცი ვერ გაფრინდებისკე“.

ცეცხლის შუქებით დაგხვდებით კანაოს თავზე გაღმითო,

ჩვენაც დავხვდებით იმათა, ჩვენი ვეფხური ქცევითო.

ესე გაგაზე წავიდა, შეასრულა დავალება. სალმის ეახლა, უთხრა; ფინთად არი ჩვენი საქმე, ჩვენი დვალნები დახოცეს მთიულთა, ცეცხლი მიუდეს კვარითაო.

ეს რომ გაიგო სალმიმა, მიდის და მოდის ქშენითო.

ხალხის სარბოლავ სოფელში კაცებს აგზავნის ცხენითო.

მოგროვდა ოსის ლასქარი, თოფ-იარაღის ჟღერითო,

შვიდი ათასი ვაჟკაცი კარგა ნაწურთნი ცხენითო.

მთიულეთს გამოემგზავრნენ, სამკლავიანი ხელითო,

თემს უპირებენ აკლებას, დაწვას ცეცხლითა ცხელითო.

უნდა გასწყვიტონ მთიულნი ხმლების და შუბის წვერითო;

გაგაძე უფრო[ღა] ამხედრებს, ცაშიღა ჰკიდებს ქებითო;

„მენ ვიცი მაგათი ადათი, მოექცეთ მაგათი წესითო,

(ხოლოთა) მთლიანი ძალა ვიხმაროთ ამ სიბნელეში ღამითო.

და როცა ამოვიდნენ გუდაურში და გადმაიხედეს, აჩვენა ცეცხლის შუქები.

აგერა ნახეთ თვალითო, მანდა დგას მთიულთ ლაშქარი

გადალესილი რკინითო, დავესხნეთ მოულოდნელათ

ამ სიბნელეში ღამითო. თვითონ ჯარს უკან მოექცა

ამოღებულის ხმალითო, ვისაც მისწვდება არ ზოგავს

,დაბლა ჩამოჰყრის ცხენითო.

რას ხედვენ, არ ხედვენ, ცვივიან შიგ, თან მარგილებზე ეცემიან.

შვილებსა გარსევანისა ვერ გასძღებოდით ცქერითო,

მისთიბდენ მტრისა ლაშქარსა, როგორც მთიბელი თივასაო.

ყელი გამოსჭრეს სალმისა, თავის მარჯვენა ხელითო,

ასი კაციღა გადარჩა, დამალულიყო ზევითო.

(გამიხსენოდით მაინც, რამდენი ლექსი დამათვლევინეთ)

გაგაძე წამაეწია პიროფლიანი ცხენითაო, ჩამაუძღვა ჩახათ კარისკენ;

„მაბრუნდით, ასე მამყევით, გზა ესე ჩადის ქვეითო“

კლდეს გადაყარა ყველაყა, თავები გაჭრა ხმალითო.

ერთი კაციღა დარჩა ჩაბუკა. უთხრა გაგაძეს;

„ეგრემც გაწყდება თქვენი ძე,

რიგორც ჩვენი ძე გაგიწყვეტნიაო“.

და ესრემც გაწყვეტილები არიან გაგაძეები. იმან რო დაწყევლა, ჯეელები მაგათი არ ხეირობენ.

მემრე შაიკრიფებიან ეს ჩვენი მთიულები. ეხლა უფალმა ბრძანაო;

ეხლა მათ სახში შეესმას უფალს ტირილი ქალისო.

ცამ გადიყარა გულიდან ღრუბლები ავი დარისო.

ამოიყარეთ მტრის ჯავრი, სადარდო რაღა არისო,

შემოიკრიფენ ბიჭები სიმღერითა და ლხინითო.

მემრე ეს თემი, ხო დიდი სახელი მოიპოვეს ამ ბრძოლაში ბურდულებმა, და თქვეს; „რითი დაგაჯილდოვოთო“? მოდიო

ლომისის ტაძარი გადავცეთ,

ქალი უთხოვარია, სუფრა უწევარია.

ქალის სათხოვრად რო მივლენ ბურდულები, უარი არ უნდა უთხრან.

დაასაჩუქრეს, გადასცეს წინამძღოლობა თემისო,

დიდი ლომისის ტაძარი, გასაღებლები კარისო,

რომელიც მოეწონება, ცოლად მოყვანა ქალისო,

გამრავლდეს საქართველოში მთლად ბურდულების გვარისო.

ამის შემდეგ დაისვენა საქართველომ, დღემდის ჩვენს მოხუცებულს აქუს გასაღები. თუ ბურდულმა არ დაუკლას საკლავი, არ ღებულობს ლომისა, ეგეც ღვთისგან არის.

ქვემო

მლეთა